



საქართველოს საფონდო ბირჟის სალისტინგო კომპანიები

2010 წლის 6 მაისიდან საქართველოს საფონდო ბირჟის A კატეგორიის ლისტინგში დაშვებულია სს „საქართველოს ბანკის“ (GEB) აქციები, ხოლო B კატეგორიის ლისტინგში – სს „ლიბერთი ბანკის“ (BANK) და სს „თელიანი ველის“ (WINE) (შეჩერებულია) აქციები.

საქართველოს საფონდო ბირჟის შესახებ

საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. სსბ, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, პასუხობს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის საბაზისო მოთხოვნებს. იგი სთავაზობს ეფექტურ საინვესტიციო მექანიზმს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს. სსბ-ის ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომლებიც განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭრო დარბაზში, ასევე-დისტანციური წვდომის დახმარებით – საბროკერო კომპანიათა ოფისებში. 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 157 კომპანიის ფასიანი ქაღალდია დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 0.5 მილიარდ ლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 2.5 ათას ლარს.

შემდგომი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

გიორგი ლოლაძე, სემთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

+995 32 22 07 18

gloladze@gse.ge

ვახტანგ სვანაძე, გენერალური დირექტორი

+995 32 22 07 49

vsvanadze@gse.ge

ან მიმართეთ ჩვენს ვებ გვერდს www.gse.ge

ეს პრეს-რელიზი წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი საინფორმაციო მიზნებისთვის და არუნდა იქნას გაგებული როგორც რაიმე ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შეთავაზება ან მათ ყიდვაზე რეკომენდაციის გაწევა. პრეს-რელიზში მოყვანილი ზოგიერთი დებულება სამომავლო პერსპექტივაზეა გათვლილი, შესაბამისად ეფუძნება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა ამჟამინდელ ხედვას და, დამოკიდებულია მომავალ გარემოებათა განუზღვრელობასა და ცვალებადობაზე. სხვადასხვა ფაქტორთა გამო რეალური შედეგები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ზემოთ მოყვანილი დებულებებისგან.